ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აგრძელებს თანამშრომლობას ევროკომისიის პროგრამა ERASMUS MUNDUS-თან და BACKIS პროექტის ფარგლებში აცხადებს კონკურსს თსუ მაგისტრატურის პირველი სემესტრის სტუდენტებისთვის (პირველი სამიზნე ჯგუფი) ევროპის 8 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო სტიპენდიის მოსაპოვებლად

სააპლიკაციო დოკუმენტაციის მიღება ხდება ელექტრონულად შემდეგი ვებ-გვერდის საშუალებით:
http://www.wbackis.univ-montp2.fr/

სავალდებულო დოკუმენტების ჩამონათვალი	**მაგისტრატურის პირველი სემესტრის სტუდენტები**
ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ	გაცემული შესაბამისი ფაკულტეტის მიერ (დოკუმენტის ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია)
ბაკალავრის დიპლომი	არქონის შემთხვევაში, ცნობა, რომ დამთავრებული გაქვთ და აღების სავარაუდო თარიღი
ბაკალავრიატის ნიშნების ამონაწერი	გაცემული შესაბამისი ფაკულტეტის მიერ (დოკუმენტის ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია, თუ ფაკულტეტის მიერ არ არის ინგლისურ ენაზე მომზადებული)
ენის საერთაშორისო სერთიფიკატი (TOEFL, IELTS)	თსუ-ს მიერ ორგანიზებულ B2-ის ტესტირებაში მონაწილე სტუდენტებს შეუძლიათ წარადგინონ მიღებული სერთიფიკატი. შესაძლებელია, ასევე, რომ ზოგიერთმა უნივერსიტეტმა სავალდებულოდ მიიჩნიოს საერთაშორისო ენის სერთიფიკატის ქონა, გადაამოწმეთ ინფორმაცია სასურველი უნივერსიტეტის მოთხოვნებში!!
მოტივაციის წერილი	რატომ გსურთ ზემოაღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობის მიღება (ინგლისურ ენაზე)
CV	ევროპული ფორმატი
რეკომენდაციის წერილი	ერთი (ინგლისურ ენაზე, შესაბამისი ფაკულტეტის ბეჭდით დამოწმებული)
პასპორტი	სურათიანი გვერდის დასკანერებული ვერსია
სოციალურ-ეკონომიკური ან/ და ჯანმრთელობის პრობლემის დამადასტურებელი ცნობა	ოფიციალური დოკუმენტი, რომ მიეკუთვნებით სოციალურად დაუცველ ფენას ან იღებთ სოციალურ შემწეობას, ჯანმრთელობის პრობლემის დამადასტურებელი დოკუმენტი (ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია)

პროექტში მონაწილე ევროპული უნივერსიტეტები:

1. მონპელიეს უნივერსიტეტი 2
2. ტალინის უნივერსიტეტი

3. ვილნიუსის გედიმინას ტექნიკური უნივერსიტეტი
4. მასარიკის უნივერსიტეტი
5. პას ვასკოს უნივერსიტეტი
6. ტურინის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი
7. ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტი
8. ანტვერპენის უნივერსიტეტი

პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებული სასწავლო პროგრამები:
https://www.wbackdep.univ-montp2.fr/offers.php
მობილობის პერიოდი: 2014/2015 აკადემიური წელი
მობილობის ხანგრძლოვობა: ერთი აკადემიური წელი (10 თვე)
სტიპენდია მოიცავს 1000 ევროს ყოველთვიურად, საერთაშორისო მგზავრობისა და დაზღვევის დაფინანსებას.

სრული სააპლიკაციო დოკუმენტაციის პროექტის ვებ-გვერდზე ატვირთვის ბოლო ვადა:
2014 წლის 17 თებერვალი

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ
ანი ჭელიშვილს თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში
თსუ პირველი კორპუსი, პირველი სართული, ოთახი 121. ელ-ფოსტა: erasmus@tsu.ge